ნახ. ჯ. ლოლუასი

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, შენ რა გიჭირს: შენები ჩამოდიან მაინც, მე კი ქალაქში უნდა მივართვა.

ნიანგი

1

1981

ორი აღსარება

კომენტარით

მე თამაზ იობაშვილი ვარ, პატივცემულო უფროსო, იესო ქრისტეს! სულ უბრალო რამეზე ვზივარ! რაიმე მომიპარავს?! არა! ვინმე მომიკლავს?! არა! მანქანა გამიტაცებია?! არა! თუმცა, რას ვლაპარაკობ, შენ თვითონ უკეთ არ იცი?!

ისიც კარგად გეცოდინება, ჩემს ძმაკაცებს თვალში რომ ჩავუვარდე, ხელსაც არ ამოისვამენ!

აბა, რას გადამეკიდა ეს **არსენა ღვინიანიძე,** ჩვენი უბნის ინსპექტორი? ვითომ რაო, კაპიტნის ჩინები რომ დაუკერებია, მაინცდამაინც ვინმე უნდა დაიჭიროს?! ნარკომანი ხარო! დავუშვათ, ვარ, მერე?! მე, მინდა ოპიუმს მოვწევ, მინდა — ანაშას! ვის რა ეკითხება?! ცხრამეტი წლის კაცი ვარ უკვე და უფლება მაქვს ჩემს თავს თვითონვე გავუძღვე და ვუპატრონო!

ეს მარტო ჩემი მოსაზრება როდია. შენც კი იცი, უფროსო, ასევე ფიქრობენ ჩემი თანამოაზრენი **ვანო საკაშვილი** და **გრიგოლ გრიგოლიანი.**

ჰოდა, იმას მოგახსენებდი: არსენა ღვინიანიძეს ხომ იცნობ, უფროსო, ჩვენი უბნის ინსპექტორი რომ არის! ისეთი კაცია, შეიძლება, თვითონ შენი დაჭერაც კი იფიქროს! ამიტომ, მოიშორე თავიდან, სანამ გვიან არ არის! ღმერთი არა ხარ?

ჩემი თქმა რად გინდა, მაგრამ მაინც გეტყვი: არაა მთლად სანდო კაცი, ეს ღვინიანიძე! არც ღვინო უნდა შენი და არც წყალი! ღვინის მადლი გაუწყრეს მაგას! ვეუბნები, დაანებე თავი ამ ნარკომანებს, ლოთებსა და ქურდებს, იჯექი შენთვის კაბინეტში და მეფესავით გაცხოვრებენ-მეთქი!

გაგიგონია?! არაო!

არაო და, იჯდეს ხელფასზე!

ისე კი, ჩვენში დარჩეს, უფროსო, და, თუ მშვიდობით გავედი აქედან, სიტყვას გაძლევ, ნარკოტიკებს არ გავეკარები! არც მე და არც ჩემი ძმაკაცები! მერე ვის დაიჭერს, არ ვნახავ?!

რაჩიკ შახულიანი გახლავართ. ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან, უფროსო!

როგორც მოგეხსენებათ, ყოველ კაცს თავისი პროფესია აქვს, ყოველი კაცი საკუთარი მარჯვენით ცხოვრობს და ჭამს ლუკმაპურს ამ წუთისოფელში. თვითონ **არსენა ღვინიანიძეც** თავისი შრომით არ ჭამს პურს? ერჩის მერე ვინმე?! არავინ! მე თუ რაიმე მოვიპარე, მას ხომ არ მოვპარე?! რამდენჯერაც გამოვედი ციხიდან, ყოველთვის ჩამავლო. აბა, რა ვქნა, არ ვიქურდო?! ქარხანაში იმუშავეო! კარგი, გამიწყრა ღმერთი და, ქარხანაში მივედი!.. მერე, რა პირით შევხედო ჩემს ძმაკაცებს?!

მაყუთი შევაძლიე, კარგა ბლომად იყო. ვეუბნები, ეს აიღე და მერე ყოველ თვეში ჯიბის ფულიც გექნება-მეთქი! არ აიღო, სიბრალისს გეფიცებით, არ აიღო! მოდი და დასვი ახლა ამისთანა კაცი უბნის ინსპექტორად!..

ისე, დიდი ეშმაკობა და ძალა კი ჰქონია:

გამოვდივარ ამას წინათ უთენია ქალაქში, შაუმიანის მოედანზე ვიღაცამ ბაკალეინა შემიძრა. ძმაკაცი მეგონა. მოვიხედე და თქვენს მტერს, მე რომ სანახავი ვნახე: არსენა არ იდგა?! ოძელაშვილი კი არა, ღვინიანიძე! ისე კი მერჩია, ოძელაშვილი ყოფილიყო: გულკეთილი კაცი იყო ცხონებული, ჩემისთანა საწყალი ხალხი ებრალებოდა, თვითონაც ყაჩაღი იყო და იმიტომ. არ წაგიკითხავთ „არსენას ლექსი“?

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო!.. მერე შენ ვის აძლევო, მეკითხები, უფროსო! არავის! აბა, ვის მივცე?! კიდევაც რომ მივცე, ეს ღვინიანიძე ისეთი ვინმეა, ამისთვისაც დამიჭერს!..

აფსუს, რა სახელს აფუჭებს!

როცა იქნება, ციხიდან კი გამოვალ, მაგრამ რად გინდა?! — მაგისი შიშით ხელი ვერ გაუნძრევია კაცს!

ახლა იცი, რას გეხვეწები, უფროსო? — წაიყვანე სადმე ეს კაცი, გინდა, დააწინაურე! თუ მეწყინოს, მამაძაღლი ვიყო!

ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე თვე მაინც ხომ უნდა ვიყოთ მშვიდად?!.

„ნიანგის“ კომენტარი: არსენ ღვინიანიძე თბილისის 26 კომისრის რაიონის 106-ე მიკრორაიონის უბნის ინსპექტორია. 1971 წელს მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური და მუშაობა დაიწყო ამავე რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში. იობაშვილის, შახულიანისა და სხვების გასაგონად ვამბობ, რომ ღვინიანიძე ამჟამად სწავლობს როსტოვის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში დაუსწრებლად. ასე რომ, იგი კიდევ უფრო ხვეწს ჩეკისტის ხელოვნებას.

ჰოდა, ერიდეთ მას და მის მსგავსთ, ქურდებო, ნარკომანებო, ჯიბგირებო და სხვებო და სხვებო!

აღსარებები ჩაიწერა ივერი ტაბიძემ.

დრო, ბოლო მოვუღოთ ყოვლად გაუმართლებელ ლიბერალიზმს, რომელსაც ვიჩენთ სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც, უვიცობის გამო, დილეტანტიზმისა და არაკომპეტენტურობის გამო ფუშავენ მუშაობას.

გაზეთებიდან

ნახ. ა. კანდელაკისა



— **მოითმინეთ, ვალე გაითავისუფლება!**
— **ვაგას, მართლაც, ვალე გაითავისუფლებენ!..**

„მეძრთამეზე თქმული ნაკვესები

● **მეძრთამე ხუთს თხოულობდა და ათი მისცეს.**

● **მეძრთამე რევიზორმა დაიჩივლა: რევიზია ჩავატარე, გემო კი ვერ ჩავატანეო!**

● **მეძრთამემ შეუტია ბიუროკრატს: მიდება როგორ უნდა გეზარებოდესო?!**

● **მეძრთამე მსაჯად დანიშნეს და — ჩამოთვალეთ და ჩაგითვლითო! კარში დააყენეს და — ბურთი ფულით გატენეთ და, მოგიკვდეთ გამშვებიო!**

● **მეძრთამემ შეუტია ხელქვეითს: პატივცემულო კი არა, პატივსაცემო დამიძახეო!**

● **მეძრთამემ ჩაუცინა გამყიდველს: მეც ვაჭარი ვარ, თანამდებობრივ უფლებებს ვყიდიო!**

ვაგტანგ ჯავრიშვილი
(ქასპის რ-ნი)

ნადირაშვილი მარინე გიორგის ასული — პროფესიით გამყიდველი. ყიდდა ყველაფერს, განურჩევლად ასორტიმენტისა!.. ჰყიდდა დღისით და ღამით, დღისით — რუსთავის № 77 სასურსათო მაღაზიაში, ღამით — შინ, თუმცა გარეთაც გადიოდა გამოფენა-ბაზრობების მოსაწყობად.

თბილისის აეროპორტში, მილიციის მუშაკების თხოვნით, მარინემ უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოაწყო მოსკოვიდან წამოღებულ 28 დასახელების იმპორტული საქონლის გამოფენა (გაყიდვის გარეშე). დამთვალიერებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფო ფულის ნიშნების ექსპოზიციამ, რომლის თანხამ 30 ათას 387 მანეთი შეადგინა!

ფულის ნიშნების გამოჩენილი კოლექციონერ-შემგროვებელი და ფართო ასორტიმენტის საქონლით ღია ბაზრობების მომწყობი მარინე ნადირაშვილი ამჟამად გრძელვადიან შვებულებაშია და, ალბათ, კიდევ დიდხანს დაელოდებიან მასზე შეყვარებული ფულიანი კლიენტები.

ნოდარ შაქროს ძე ხუბაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ ქიტაანის მკვიდრი, გურჯაანის № 3 მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშა. თიანეთში მყოფს და თანაც გადაკრულს, თავი წაწალი ეგონა და უთავბოლო წანწალს მოჰყვა. ბოლოს ერთ ლამაზმანს დაადგა მზერა და ვითომ ქათინაურიც უთხრა. ქათინაურში ხურდად სილა დაუბრუნეს. მაშინ გაწბილებულმა წაწალმა შიგ ჩარჩენილი სასმელიც აღარ დაინანა და ბოთლი ქალს თავზე გადაამტვრია. გაიქცა წაწალი, წალიკა ხიდზე გავარდა, მაგრამ ნაბიჯი მოეცარა და ქვებზე მოადინა ბრაგვანი. ქალიც და ნოდარიც თიანეთის რაისაავადმყოფოში მოათავსეს და, პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, ვაი-მექანიზატორი მექანიკურად გადაიყვანეს „ვირის აბანოში" ცივი შხაპების პროცედურების მისაღებად!

ჯოჯუა გივი შალვას ძე — დაბადებული 1939 წელს, **კიკერაძე გივი ნიკოლოზის ძე**, დაბადებული 1934 წელს. ორივე — სამტრედიელი, სამტრედიის ხორცკომბინატის სამაცივრო საამქროს ოსტატები. იფიქრეს, მეტი მოუვა საამქროს და, მოდი, ცოტა რამ ხორცი გავაქროთო. თქვეს და შეასრულეს კიდეც, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გაარკვიეს — მანქანის საბარგულში 60 კილოგრამი ხორცი ჩადეს, მერე კი, საამქროს აღწერის დროს, 69 კილოგრამი დანაკლისი აღმოაჩნდათ.

სწორედ ამის გარკვევა დაევალათ შესაბამისი ორგანოს შესაბამის მუშაკებს და გაარკვიეს კიდეც: ვისაც რა ეკუთვნოდა, ის მიაგეს!

კუჭავა შაქრო გრიგოლის ძე — დაბადებული 1945 წელს, წყალტუბოში მცხოვრები. თავი გამოიჩინა სოფელ გვიშტიბის საბჭოთა მეურნეობის ჩაის ფაბრიკაში მწონავად მუშაობის დროს. ჯერ შეისწავლა სიმღერა „ინდი-მინდი", შემდეგ კი საშემსრულებლო ტექნიკაც აიმაღლა და ამ ღილინ-ღილინში მეჩაიეებს შეაწერა მინდი — თითო კალათა ჩაი! აგროვა-აგროვა და... თავის თავს გამოუწერა 9.000 მანეთი! მერე კი სხვებმა გამოუწერეს სათანადო წამალი.

მარდაშოვი ლევტერი ივანეს ძე — დაბადებული 1943 წელს, ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი. სიახლე დანერგა მგზავრთა კულტურულ მომსახურებაში: ყოველ რეისზე მისი „იკაროსი" უზრუნველყოფილი იყო სიგარეტების დიდი პარტიით. ერთ დღეს მის ავტობუსში აღმოჩნდა 4.444 შეკვრა სიგარეტი „ლუქსი". თურმე, ნუ იტყვით, მზადდებოდა მსოფლიო რეკორდი კოლექტიურ გაბოლებაში და სწორედ ამ დროს განხორციელდა ანტინიკოტინური ღონისძიება — მარდაშოვის სიგარეტებს და იმედებსაც ცივი წყალი გადაასხეს მილიციის მუშაკებმა!

ნავერიანი ტარიელ ნაპოლეონის ძე — დაბადებული 1950 წელს, მესტიის რაიონის სოფელ მულახის საბჭოთა მეურნეობის მუშა. თავი გამოიჩინა ფიზიკური ძალის გამოყენებით არა საკოლმეურნეო მინდვრებში, არამედ თანასოფლელი მოხუცი ქალის მიმართ — მისი გაუპატიურების მიზნით, რის გამოც თვითონ მას ყველა პატივი აჰყარეს!

მახარაშვილი ზურაბ ვლადიმერის ძე — დაბადებული 1951 წელს, ვანის რაიონის სოფელ ზეინდარის მკვიდრი. „ისტორიაში შევიდა" და საქმეში გავიდა მასზე მიმაგრებული ავტომანქანა „მაზ-503"-ით. მახარაშვილმა გულის ჭია იმით გაახარა, რომ თერჯოლის აგურის ქარხნიდან წაღებული აგური სახელდახელოდ ტკიცინა ათმანეთიანებად აქცია, მაგრამ მაშინვე შუბლში ხელი იტკიცა, რადგან სოფელ ვარციხეშივე დააკავეს და საციხედ გაუხადეს საქმე!

მთარგმნელთა დასახმარებლად

ამ ბოლო დროს საოცრად გაფართოვდა მთარგმნელთა წრე (ყველა თარგმნის, ვისაც არ ეზარება!), მაგრამ მაინც ხშირად ვხვდებით მიუტევებელ შეცდომებსა და არამისატევებელ ლაფსუსებს, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, დახმარების პრაქტიკული ხელი გავუწოდოთ დაინტერესებულ პირებს და მივაწოდოთ მათ ზოგიერთი რუსული სიტყვისა თუ წინადადების ზუსტი განმარტება.

როგორ ვთარგმნოთ, მაგალითად, სიტყვა **подлиза**? მლიქვნელი? ლაქუცა? პირმოთნე? ტრიელი?

არამც და არამც!

ქვემძრომი? აქედან მხოლოდ ერთი ნაწილი გამოგვადგება — ქვე (რაჭულ დიალექტზე დაყრდნობით), რაც, ცხადია, არასრულია, მაგრამ მაინც საჭიროა. სრულად კი იქნება **ლიზას ქვეშ.**

Вокруг света — **სვეტის ან, უბრალოდ, სვეტას გარშემო (ირგვლივ).**

Хождение по мукам — **ფქვილიზა სიარული (ამჯერად გურული დიალექტის გამოყენებით).**

Очковтирательство — **— სათვალის (ქულის, ქულების) ჩაზელილობა.**

Дом под замком — **სახლი ბოქლომის ქვეშ.**

Свекровь — **ყველა სისხლი.**

Свекруха — **ყველა კრუხი.**

К сожалению, день рожденья только раз в году — **სამწუხაროდ, რაუდენას დღე ერთხელაა წელიწადში.**

Мы о вас все отлично знаем — **ჩვენ თქვენზე ყველაფერი ფრიადზე ვიცით!**

ძვირფასო მთარგმნელებო! იმედი გქონდეთ, კვლავ ნაყოფიერად ვიმუშავებ ამ ურთულეს დარგში, რადგან სხვა უკეთეს მარგალიტებს მოველი მადლიერი მთარგმნელებისაგან.

ამ იმედით ვცოცხლობ აწ და მარადის თქვენი —

გივი გოჯგუა

ნახ. დ. ერისთავისა



— **მშობლებით დაგიბარა?! მაშინ ნამდვილად გაპატიებს გაცდენას!..**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡ ᲛᲔᲠᲜᲔᲚᲘ „ᲘᲠᲝᲜᲘᲐᲡᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘ. 50 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲛᲝᲠᲬᲚᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐ

საკენკი დაუყარეს
დასაკლავ ქათმებს,
ქათმებმა უშალ
სიფხიზლე დათმეს.

ისე გათამამდა
უბრალოდ ერთი,
პატრონი მიიღო
მოწყალე ღმერთად
და ისე დაიკლა,
მადლობაც ვერ თქვა.

მგზავრო, უფრთხილდი
წყალობას დიადს,
რადგან მას მაინც
საკენკი ჰქვია!

ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

მთქმელს
თქმული სიტყვა
უკან მარლაც არ
უბრუნდება,
თორემ
რამდენი მოიკლავდა
თავს თქმული სიტყვით!

ᲕᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ

ასე მგონია,
მოთმინების მსოფლიო
რეკორდს
ვამყარებ, როცა
პაემანზე გაგვიანდება!

ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝᲡᲗᲐᲜ

დიპლომატიის
არაფერი არ გაეგება
ამ კუტკალიას, —
ყოველდღე არღვევს
საზღვარს, როცა
მოესურვება.

ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ

სტერილურ ლექსებს
მეც ვსტამბავ, მაგრამ
სტერილურ ლექსებს
არ ვწერ აროდეს!

●

სად არის სარკე,
რომ ჩავიხედო
და ჩემს თავს
თავად
მე ვეკამათო?!

●

ვინც არ იკითხა,
რად მოვიდა, როცა
მოვიდა,
ნუღარ იკითხავს,
რატომ მიდის, როდესაც
წავა!

●

ხეებს რომ ტირილი
შეეძლოთ,
ხისმჭრელებს
ნიაღვარი
ნალეკავდა!..

მგზავრული შარჟი ბ. ფეიერბაუმისაგან

●

ნეტავი იმ დროს,
იმ დროს, როდესაც
მგელი, ქცეული ოდესღაც
ძაღლად,
კვლავ თავის მგლობას
დაუბრუნდება!

●

ის, ვინც წავიდა,
მტვერი იყო,
მტვერს შეერია!..
ხოლო, ვინც დარჩა,
დარჩა, მაგრამ...
ისიც მტვერია!..

ᲥᲣᲩᲐᲨᲘ

დავინყე სტვენა.
რომელიღაც სახლიდან
ვგრძნობ, რომ
კანარის ჩიტი მეპასუხება.

რა საერთო აქვს
გალიის ტყვეს
ჩემს ცხოვრებასთან?!

●

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ
ყველაფერი დავიმახსოვრო!

ᲡᲡᲣ!!!

თუ ჩემი ლექსი
ქვეყანას აქცევს,
თუ გსურს, დავდუმდე —
სულ!..
ისე და ასე,
ისეც და ასეც,
ს ს უ?
კი, ბატონო, ს ს უ!!!

ვიცი, უბრალო ჭორიც,
ფაჩუნიც
რომ შეგიშფოთებს
სულს, —
ვთქვათ, მე გავჩუმდი,
ვთქვათ, შენ გაჩუმდი,
ვთქვათ, სულ გავჩუმდით,
სულ!..

ს ს უ?
კი, ბატონო, ს ს უ!!!
მაგრამ ის ერთი,
კრძალვით თუ რიდით,
დღეს თუ თევზიკით დუმს,
არ ნიშნავს, რომ ხვალ
არაფერს იტყვის!..

ს ს უ?
კი, ბატონო, ს ს უ!!!

ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲢᲕᲠᲐ

ნატურალური ხე.
ჭალა. მინდორი. ველი.
ნატურალური ბზე.
ნატურალური სელი.

ნატურალური დრო.
ცა — ცისარტყლების
სარტყლით.
ნატურალური დო.
ნატურალური მატყლი.

ნატურალური ხმა.
გზა — დაბინდული
ღრუბლით.
ნატურალური თმა.
ნატურალური შუბლი.

ᲓᲠᲝ

ნუღარ დაეძებ,
იგი უკვე
დაკარგულია!

●

ბოლოს და ბოლოს,
ბოლოს მაინც
ხომ გაიხსენებს,
რომ უპატრონოდ მიგვატოვა
ამ პლანეტაზე?!.

●

მიდიხარ, მაგრამ სად მიდიხარ,
იცოდე მაინც?!

ᲗᲔᲠᲛᲝᲡᲨᲘ

თერმოსში ტკბილად შენახულ
ყავას
ჰგავს ახლა შენი ნელთბილი
ჰავა!
მოწყობილი გაქვს ცხოვრება
ამოდ, —
შენ უნდა სვა და შენ უნდა ჭამო!
ადრე თუ გვიან, არ უნდა
დავე, —
შენი სიცოცხლეც თერმოსში
ჩავა!..
„ჩ ა ო!“

ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲩᲚᲔᲑᲐ

ერთ მშვენიერ დღეს
აღარავინ არ იკამათებს,
მაგრამ უკვე გვიან იქნება!..

ᲒᲐᲜᲐᲠᲔᲜᲘ

სიკვდილი ყველას,
ვისაც მხოლოდ
სიცოცხლე უნდა!

ᲞᲔᲓᲐᲜᲢᲘ ᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘᲗ

1.
სიკვდილი სამსახურში
ყოველთვის ადრე
ცხადდება!

2.
უბედურება არასოდეს არ
იგვიანებს,
ბედნიერებას
სუყოველთვის
აგვიანდება!

ᲘᲫᲣᲚᲒᲐ

იძულებითი მეგობრობა
კიდევ ჰო, მაგრამ
იძულებითი სიყვარული
რაღაა, ნეტავ?!

●

ნადირთა მეფედ
კვლავ შევრჩებით
რატომღაც ლომი!
თვითონ მხეცები
რას ფიქრობენ,
არვინ კითხულობს!

ᲘᲠᲝᲜᲘᲐᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲠᲘᲙᲐ

ᲪᲘᲡᲤᲠᲘᲜ ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ

მეც მაშინებდნენ სიკვდილით ერთ
დროს!
ო, უნდა მენდო,
ჯვარი გნერია! —
მაგდ გეშინოდეს, თორემ აქ ახლა
საშიში სულაც არაფერია!

ᲢᲠᲐᲡᲐᲡᲐᲖᲔ

ნუ გადამირბენ წინ, გაზაფხულო! —
ჩემი ცხოვრება
ასი ცხენის ძალის სიჩქარით
თავს იმტვრევს ახლა
იმ დიდ ტრასაზე,
სადაც ცალმხრივი მოძრაობაა, —
მიდიან იქით,
მაგრამ აქეთ არავინ მოდის!

ᲙᲘᲝᲜᲨᲘ

„საღამოს სეანსზე
ბავშვები 16 წლამდე არ დაიშვებიან!“

ნეტავ, ვიცოდე,
რატომ არავინ არ მოიფიქრა,
რომ კანონად ექციათ ჩვენთვის:
„ას წლამდე
არავინ არ დაიშვება სიკვდილთან!“

●

სამწუხაროა, მაგრამ ასეა, —
ცირკში სარბენად
განწირთნილი ცხენი
დიდი ცხოვრების ასპარეზზე
საჯირითოდ
არ გამოდგება!

ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲐ

ჩვენ აღვადგინეთ ძველი სახლები,
ო, მაგრამ გზნება,
ის ძველი გზნება ვინ აღადგინოს?!

ᲧᲕᲠᲓᲛᲝᲠᲣᲚᲘ ᲘᲠᲝᲜᲘᲘᲓᲐᲜ

რა საოქმელია, მაგრამ ვეფხვები,
ჩვენს დროში
ჩვენი ვეფხვები, ვატყობ,
მშვენიერად გრძნობენ თავს
გ ა ლ ი ა შ ი, —
ისინი უკვე
ტყვეობაშიც კი მრავლდებიან!

ᲡᲐᲢᲘᲠᲐ — „ᲗᲕᲘᲗᲛᲒᲕᲔᲛᲐ“

ჭიანჭველებიც ისე ცხოვრობენ,
როგორც ჩვენ! —
დაერევიან ერთმანეთს, თურმე,
და გაფფრებით ანადგურებენ
საკუთარ ჯილაგს!
განსხვავება
იარაღშია მხოლოდ!

ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘ

მოვიდა წვიმა,
წვიმა ჩარიალა,
დატოვა ცრემლი და
ჩაიარა!..
მოვარდა ქარი,
ქარი გრიალა,
დატოვა მტვერი და
ჩაიარა!..
მზე აშრობს ქვეშად
ქეიფულ იარებს,
მოხვედი შენ და...
შენც ჩაიარე!..

ᲞᲐᲠᲝᲓᲘᲐ ᲛᲔᲢᲠᲝᲨᲘ

ახვლა-ჩამოსვლის
მხიარული პაროდია:
ერთნი ადიან!..
მეორენი ჩამოდიან!..

ᲒᲐᲨᲠᲐᲮᲘᲚᲔᲑᲐ

ყველაფერი
დავინყებით
დაინყება!

ᲛᲔᲠᲔ?

მერე?
რა მერე? —
რას ისურვებ,
სად ნახვალ,
მერე?
კიდევ
რას დანერ,
ან რას დანერ,
რასაც არ
ნერენ?
და მაინც
მერე?
მერე რა?
მერე?

ᲞᲝᲔᲢᲘᲠᲘ ᲨᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ ᲧᲝᲕᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲢᲝᲠᲘᲓᲐᲜ

ისინი სიმაღლეზე ხტომაში
ეჯიბრებოდნენ
ერთიმეორეს
და
თხუნელებივით
უ თ ხ რ ი დ ნ ე ნ
ერთმანეთს
მიწას!

XXVI

„ნიანგის“ წინასაყრილობო კონტროლი

თბილისის თემქის დასახლების III მიკროორაიონის II კვარტალის № 28 კორპუსის IV სადარბაზოში მცხოვრებნი შვიდი წელია უჰაერობით იხრჩობიან ბინებში სავენტილაციო არხების უქონლობის გამო. კაცს კარი სტუმრისთვის უნდა ჰქონდეს მუდამ ღია და არა — ბინის გასანიავებლად. ამ კორპუსის მობინადრეთ კი ზამთარზაფხულ ღია აქვთ კარები და მორიგეობით ყარაულობენ ბინებს (ქურდები დაკეტილს აღებენ და ღიაში ვერ შევლენ?).

სად არ იჩივლეს, ვის არ მიმართეს თხოვნით, მუდარით, მაგრამ მშველელის მაგივრად... მხოლოდ იმედიანი პასუხები მოსდით: თქვენი საჩივარი გადაეცა მავანს და მავანს და მიღებული ზომების შესახებ გაცნობებთო. აი, რამდენიმე მათგანიც:

„მოქ. კანდელაკი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მის ბინაში სავენტილაციო არხი არ მუშაობს და საჭიროებს გაწმენდას, რაზედაც არაერთხელ მიმართა სათანადო ორგანიზაციებს, მაგრამ დღემდე არავითარი ზომები არაა მიღებული. შემოწმებით დადგინდა, რომ კანდელაკის ბინაში გასაწმენდია სავენტილაციო არხი. გთხოვთ სასწრაფოდ მოიყვანოთ აღნიშნული წესრიგში და შედეგი გვაცნობოთ“ — ავალებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი **გ. ჭანტურია** ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს **კ. ჩხეიძეს** (საინტერესოა, რა აცნობა კ. ჩხეიძემ გ. ჭანტურიას?).

„გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება, რომელიც დაწერილი იყო ქალაქის მთავარი არქიტექტორის სახელზე, ზომების მისაღებად გადაეგზავნა გაერთიანება „მთავართბილმშენის“ მე-15 ტრესტს (თრიალეთის ქუჩა № 25)“. — უპასუხა მომჩივანს მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტ. სამმართველოს უფროსმა **თ. ვაჩნაძემ**, რომელმაც, ამასთან ერთად, „მთავართბილმშენის“ მე-15 ტრესტის მთავარ ინჟინერს **ქართველიშვილსა** და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს **მეგრელიშვილს** ასეთი სახის წერილი გაუგზავნა:

„გეგზავნებათ მოქ. ვ. კანდელაკის განცხადება. როგორც ადგილზე დათვალიერებით გამოირკვა, განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. გთხოვთ მიიღოთ ზომები და შედეგი გვაცნობოთ, რაც გვესაჭიროება ზემდგომი ორგანოებისთვის მოსახსენებლად“. (სამწუხაროდ, არც ზომები მიუღიათ, არც შედეგი უცნობებიათ).

„გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. თ. ლაშქარაშვილის რეზოლუციით გაეგზავნა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, საიდანაც მიიღებთ პასუხს“. — მომჩივანს აცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ, ხოლო ლენინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომში ასეთი პასუხი დაიწერა:

„ადგილზე შემოწმებით აღმოჩნდა, რომ მშენებლობის პროცესში სავენტილაციო არხები შეივსო ბეტონის ხსნარით და ამჟამად ექსპლოატაციისათვის უვარგისია. საბინაო სამმართველომ მობინადრეებს შესთავაზა არხების მოწყობა ლიფტის ჭაურში, რაზედაც ისინი თანახმა არიან. სამუშაოები დამთავრდება ამა წლის II კვარტალში!“

ჯერ ერთი, მობინადრეებს ასეთი თანხმობა არ განუცხადებიათ... და რომც განეცხადებიათ, დაპირებული მაინც არ შესრულებულა — მეორე კვარტალი კი არა, მთელი წელი გავიდა!

ჟურნალ **„ჩელოვეკ ი ზაკონ“**-ის რედაქციამ ორჯერ შეახსენა სათანადო ორგანიზაციებს თემქელთა გასაჭირი.

მაგრამ...

მოკლედ, 28-ე კორპუსის IV სადარბაზოს მობინადრენი მალე შეადგენენ სხვადასხვა ინსტანციებიდან მიღებული პასუხების ტომს. სავენტილაციო არხები კი ისევ დახშულია. უჰაერობისაგან დაიჟანგა და დასკდა წყალგაყვანილობის მილები, ხოლო მობინადრეებს დააწყდათ ნერვები, ლოდინისაგან ჯერ ქანცი გაუწყდათ, შემდეგ კი იმედი!...

საკითხავია, ამდენი პასუხის წერაში რისთვის იხარჯება დრო, ქაღალდი, შრომა? ნუთუ მარტო პასუხები უშველის ვაი-მშენებლების მიერ გაფუჭებულ საქმეს? ან სხვა რა უნდა დავარქვათ ყოველივე ამას, თუ არა უსულგულობა?!

ვანო ცინცაძე

ყველა ეშმაკს—ერთად!..

ეჭვი დავაჟკაცდა,
ქსოვს იაგოს ბადეს!..
ეჭვი ეჭვზე ეჭვობს —
ახალ ეჭვებს ბადებს!

ეს ცხოვრება მიდის
განა შარიშურით?
ვაჰ, თუ ჩაგისაფრდა
სახლთან შარი შურით,

არ გეძგერა ჯიქურ,
გზა იარა შორი,
ყავარჯნებით ხელში
მოგაყენა ჭორი,

მოგეხვივნენ ირგვლივ
ჯოჯოხეთის შვილნი!
შენ თუ მართალი ხარ,
კვლავ სწორი გზით ივლი!

ჭირს ნაიღებს ჭორი,
ეჭვს — შარი და შური!
ყველა ეშმაკს ერთად
გასძრობია სული!

თენგიზ რამიშვილი



— ეს ყმაწვილი ჩინეგულად არის მომზადებული, ჩავრიცხოთ მოსამზადებელზე!..

ფრაზები

● **პატრიოტობაზე** თავს სდებს, ერის საგანძურში კი — არაფერს.

● **ზვარში** უკან მიჩანჩალებს, სმაში პირველია.

● **სამსახური** მცირეხელფასიანი აქვს, განათლება — სამუალო, შემოსავალი — უმაღლესი!

ოტო ტონია

● **გრაფომანი** — ეს არის დაჟინება, შრომისმოყვარეობა პლუს უნიჭობა.

● **კარიერის** გაკეთება კარიერიზმთან ბრძოლითაც შეიძლება.

● **ათეისტები** ბლომად არიან, მაგრამ ღმერთი რომ არ არის?!

ვლ. გოლოგოროდკო
(„ნედელია“)

დაპირებას საქმე უნდა ამშვენებდეს!..

(ამბავი იმისა, თუ როგორ იქმნება ბიუროკრატიული უსულგულობის ტომი)

ჩ ე ხ უ რ ი   ი უ მ ო რ ი

ფეხბურთის მ ა ტ ჩ ზ ე:
— დასანანია, რომ, აი, იმ მარცხენა გარემარბს ორი რამ აკლია, თორემ ბრწყინვალე ფეხბურთელი იქნებოდა!
— კერძოდ, რა?
— თავი და ფეხები!

●

— **მამიკო** რ ა ტ ო მ სცემ! ხალხი იმ გულშემატკივარს?
— ბოთლი ესროლა მსაჯს.
— მერედა, მსაჯს რომ არ ჰოხვედრია?
— სწორედ იმიტომ სცემენ!

●

— რა შ ე დ ე გ ი გამოიღო თქვენმა ეგრეთ წოდებულმა ნივრის დიეტამ?
— დავკარგე სამი კილოგრამი და... ყველა მეგობარი!

●

— **მფრინავი** თ ე ფ შ ი თუ გინახავს?
— დიახ. 1970 წელს ვნახე, ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ!..

●

— **მამიკო,** რ ა უნდა ქნას ფეხბურთელმა, მხედველობა თუ დაუქვეითდა?
— მსაჯობას უნდა მიჰყოს ხელი, შვილო!

— **პან** ბ რ ო უ ჩ ე კ, ახლახან იდიოტიო, რომ ახსენეთ, ჩემზე ხომ არ გითქვამთ?
— როგორ გეკადრებათ, პან ლუხაჩეკ! ნუთუ გგონიათ, რომ თქვენს მეტი იდიოტი არ დაიარება ამ ქვეყნად?!

●

კორესპონდენტი ც ი რ კ შ ი:
— ბოდიში, თქვენ ბრძანდებით ლომების მომთვინიერებელი?
— რას ბრძანებთ, პან! ტყვიასავით მეშინია ლომებისა. მე მათ მხოლოდ კბილებს ვუხეხავ და თათებს ვუწმენდ!..

●

მასწავლებელი მ ო ს წ ა ვ ლ ე ს ეკითხება:
— იოჟკა, გუშინ რატომ გააცდინე გაკვეთილები?!
— უნდა მაპატიოთ, პანი! გუშინ ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შემოემატა!
— დაიკო თუ ძამიკო?
— მამიკო!

●

— **თქვენს** უ ფ რ ო ს ს თუ მოახსენეთ, რომ უნდა მოვსულიყავით? — ჰკითხა სარევიზიო ჯგუფის უფროსმა დირექტორის ტექნიკურ მდივანს.
— დიახ! მითხრა, ნახევარ საათში დავბრუნდებიო.
— სად წავიდა?
— ოჯახს გამოვეთხოვები და წოვალო!..

■

მივლინებაში მ ყ ო ფ ქმარს დეპეშა გაუგზავნა ცოლმა: „ნუ დაგავიწყდება, რომ ცოლიანი ხარ. ვლასტა“.
მესამე დღეს პასუხი დეპეშითვე მიიღო: „დეპეშა მოგვიანებით მივიღე. იაროსლავი“.

●

— **გაიგე,** გ უ შ ი ნ ბრდიჩეკის ცოლი ტბაში ჩავარდნილა?
— ეჰ, საცოდავი ბრდიჩეკი!
— მაგრამ ერთმა მეთევზემ დახრჩობას გადაარჩინა.
— ეჰ, საცოდავი ბრდიჩეკი!

●

ახალგაზრდა ვ ა ჟ მ ა წიგნების მაღაზიაში გამყიდველს მორიდებით მიმართა:
— ბოდიში, ქალბატონო, შემთხვევით ხომ არ შემოგრჩათ წიგნი „მამაკაცი — ქალთა მბრძანებელი“?
— ფანტასტიკური რომანები მეხუთე სექციაში იკითხეთ!

საახალწლო ს უ ფ რ ა ს თ ა ნ ჟივილხივილია. ერთი ქალი გვერდით მჯდომ მამაკაცს მიმართავს:
— მაპატიეთ, პან, თქვენ ხომ არ ბრძანდებით ჩემი მეუღლის უფროსი?
— არა, პანი!
— მაშინ გთხოვთ, ხელი აიღოთ ჩემი მუხლისთავიდან!

ჩეხურიდან თარგმნა **ალეკო კაკულიამ**

ნახ. ვ. ფირცხალავასი

— ᲗᲣ ᲫᲛᲐ ᲮᲐᲠ, ᲓᲐᲛᲘᲛᲝᲬᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲓ ᲔᲡ ᲧᲐᲜᲬᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲪᲐᲚᲔ!..

„ნიანგს“ უპასუხებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრიწყაროს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი:

ჟურნალ „ნიანგის“ გასული წლის მე-16 ნომერში სათაურით — **„ბეჭედი დამაეჭვებდის“** — დაბეჭდილი წერილი, რომელიც ამხელდა ნაკლოვანებებს ბორბალოს სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელთა მუშაობაში, სინამდვილეს შეეფერება.

რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა წერილში აღნიშნული ფაქტები. ბორბალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს **ლ. ნიაზაშვილს** და მდივანს **მ. ლევანიშვილს** გამოეცხადათ საყვედური.

გეგეჭკორის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი:

„ნიანგის“ გასული წლის მე-17 ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ შენიშვნაში — **„იცით თუ არა თქვენ?“** — აღნიშნული იყო, რომ სოფელ ლეციცხვაიეში აგურის ქარხნიდან ამოსული ბოლი აჭუჭყიანებდა გარემოს.

გეგეჭკორის ადგილობრივი მრეწველობის სოფელ ლეციცხვაიეს აგურის ქარხნის მილს დაყენებული აქვს ვენტილატორი. ამჟამად გამონადენი ბოლი მოსახლეობას აღარ აწუხებს.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისურსათვაჭრობა:

„ნიანგის“ გასული წლის მე-18 ნომერში სათაურით — **„ოჰ, ეს ბოთლები“** — დაბეჭდილი წერილი განიხილა რაიონის სურსათვაჭრობის დირექციასთან არსებულმა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღ მ დ ე გ ბრძოლის კომისიამ და შუშის ტარის მიმღები პუნქტის მიმართ გამოთქმული კრიტიკა სამართლიანად სცნო.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა: პუნქტში შუშის ტარის მიღება შეუფერხებლად წარმოებს.

მინის ტარის მიმღები პუნქტების მუშაობა საორგანიზაციო განყოფილებამ კონტროლზე აიყვანა.

№ 43 29.I.81

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲕᲘᲠᲐᲢᲘ

„ᲜᲝᲕᲝᲔ ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“

„ᲡᲐᲙᲐᲕᲚᲔᲑᲘ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ პრეზიდენტის არჩევნების წინ, როგორც ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ნიუსუიკი“ იუწყება, ჯ. კარტერმა „ᲨᲐᲕᲘ ᲓᲦᲔ“ აყარა საგაზეთო მაგნატ რ. მერდოკს. მიზეზი: კარტერმა შეიტყო, რომ მერდოკის გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ მოამზადა წერილი რესპუბლიკელთა კანდიდატის რ. რეიგანის მხარდასაჭერად. მაშინ როცა — და ეს ᲮᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ არ იყო — კარტერმა და მერდოკმა ადრე მოახდინეს გარიგება, რომ მერდოკის კონტროლსდაქვემდებარებულ გაზეთებს მხარი უნდა დაეჭირათ კარტერისათვის, ხოლო სახელმწიფო საფინანსო დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ მერდოკისათვის ხელსაყრელ კრედიტებს. და აი, ეს „საკატლეტო გარიგება“ (თურმე ნუ იტყვით და, შეთანხმება მომხდარა სადილობისას, სადაც მთავარი კერძი სწორედ კატლეტი ყოფილა!) დარღვეულ იქნა. როგორც ჩანს, მაგნატმა, რომელმაც მოასწრო სოლიდური კრედიტის მიღება, გადაწყვიტა, რეიგანის მხარეს გადაბარგებულიყო. ყოველი შემთხვევისათვის...

ახლა უკვე ცნობილია, რომ მერდოკს ალღომ არ უმტყუნა.

ᲬᲘᲜᲓᲐᲮᲔᲓᲣᲚᲘ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲘ

ᲥᲐᲘᲠᲝᲡ პოლიციამ დააპატიმრა ერთი ყალბი ფულისმჭრელი. გაჩხრეკისას მას აღმოუჩინეს დიდი რაოდენობის უცხოური ფულის ნიშნები, მათ შორის — დიდძალი ისრაელის ვალუტა. თაღლითმა ეს ამბავი ასე განმარტა: ეგვიპტისა და ისრაელის ლიდერთა დაძმობილებამ, სავსებით შესაძლებელია, ახლო ხანში გამოიწვიოს ის, რომ ეგვიპტეში ხმარებაში შევიდეს ისრაელის ფული.

„ᲜᲝᲕᲝᲔ ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“

81-43

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“

№ 1 (1587). ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1923 Წ. ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲖᲐᲣᲠ ᲒᲝᲚᲫᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:

ᲭᲐᲒᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ
ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲒᲐᲫᲔ
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲕᲐᲠᲐᲫᲔ
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲝᲚᲣᲐ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ
(ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ-ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ)
ᲒᲔᲦᲣᲐᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ
(ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ)
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐ
ᲒᲘᲒᲚᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ
ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲦᲐ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓ. ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ)

ᲜᲐᲤᲘ ᲯᲣᲜᲝᲘᲗᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲒᲐᲓ
5. 12. 80 Წ.
ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ
14. 1. 81 Წ.
ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ 70×108 1/2
ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ 2
ᲡᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲝ-ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ
ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 3148. ᲣᲔ 00606.
ტირაჟი 150.950.
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
ᲗᲕᲔᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
380008, თბილისი-8, რუსთაველი
პროსპექტი, № 42.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარ
რედაქტორის — 93-62-04, მ
რედ. მოადგილის — 93-19-42
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხ
ტვარი-რედაქტორის — 99-02-3
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკ
ბის — 99-02-38, მდივანი-მემან
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 4
Издательство ЦК КП Грузи
Типография Издательства Ц
КП Грузии, Тбилиси, улиц
Ленина № 14.
ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞᲘᲙᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 76137